განკარგულება:**გ-37. 37232983**
თარიღი:**25/10/2023**

განკარგულება N66

25 ოქტომბერი 2023 წელი

ქ. ოზურგეთი

ქალაქ ოზურგეთში, ე. ნინოშვილისა და ა. ჟორჟოლიანის ქუჩებზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ქალაქ ოზურგეთში, ე. ნინოშვილის (ს/კ 26.26.54.097) და ა. ჟორჟოლიანის (ს/კ 26.26.53.158) ქუჩებზე განთავსდეს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართის 1.12. „სდექ ხაზი“, 1.13 „სახიფათო მოსახვევები“, 1.24. „ბავშვები“, 2.1. „მთავარი გზა“, 2.3. „დაუთმე გზა“, 2.4. „მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია“, 3.18.2. „მარცხნივ მოხვევა აკრძალულია“, 3.24. „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“, 3.28. „დგომა აკრძალულია“, 4.3. „წრიული მოძრაობა“, 7.4. „დგომის ადგილი“, 8.6.3 „სატრანსპორტო საშუალების სადგომზე დაყენების ხერხი“ საგზაო ნიშნები, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად (სქემა თან ერთვის დანართის სახით).

მუხლი 2. ამ განკარგულების თანახმად, დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი